ევროკავშირი
საქართველოსთვის

Brot für die Welt

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს ევროინტეგრაცია და სურს10ს უვნებლობა

მომხმარებელი.ge

2024

საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია

ევროკავშირთან ინტეგრაცია მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი არ არის. ის საქართველოს რიგითი მოქალაქეების კეთილდღეობასთან დაკავშირებულ მრავალ სფეროს მოიცავს. ერთ-ერთი ასეთი სფერო სურსათის უვნებლობაცაა.

ევროკავშირი და სურსათის უვნებლობა

ევროკავშირში სურსათის უვნებლობას დიდი ყურადღება ეთმობა. ამ სფეროში ევროკავშირს მეტად სოლიდური საკანონმდებლო ბაზა გააჩნია, რომელზეც ყველა წევრი ქვეყანაა შეთანხმებული. ისინი ვალდებულებას იღებენ ამ კანონმდებლობის მოთხოვნები დაიცვან.

ევროკავშირის სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის მთავარი პრინციპია: სურსათის უვნებლობაზე მთავარი პასუხიმგებელი **მეწარმეა**. მას უნდა გააჩნდეს სათანადო ცოდნა, რათა შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს და ინვესტიციები განახორციელოს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რისკების ეფექტიანად სამართავად.

ევროკავშირის თითოეულ წევრ ქვეყანაში მოქმედებენ **სახელმწიფო უწყებები**, რომლებიც საკუთარ ტერიტორიაზე სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფაზე არიან პასუხისმგებელი.

ამავე დროს, სპეციალური **სახელმწიფოთაშორისი კოორდინაციის სისტემაც არსებობს,** რომელიც მოიცავს:



1. ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის დირექტორატს- (**DG SANTE**), ასე ვთქვათ, სამინისტროს, ევროკავშირის დონეზე;

2. განგაშისა და თანამშრომლობის ქსელს (**ACN**), რომლის მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის ოპერატიული გაცვლა გამოვლენილი საფრთხეების შესახებ, რათა ისინი რაც შეიძლება მალე დაიძლიოს, არ გავრცელდეს და მინიმალური ზიანი მიაყენოს მომხმარებლებსა და მეწარმეებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულებაა **ევროპის სურსათის უვნებლობის უწყება (EFSA),** რომელიც სურსათის უვნებლობის სფეროში რისკების შესაფასებლად მეცნიერულ კვლევებს აწარმოებს.

სისტემატური მეცნიერული კვლევები აუცილებელია, რომ სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელ უწყებებს დროული და სანდო მონაცემები ჰქონდეთ, რათა მუდმივად ცვალებად რეალობას რაც შეიძლება ეფექტიანად მიესადაგონ. ასეთი კვლევების წარმოება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ამიტომ **EFSA** ევროკავშირის **27** წევრი ქვეყნის შენატანებით შედგენილი საერთო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

რისკების შეფასების შედეგად **EFSA** პოლიტიკის განმახორციელებელი უწყებების მიმართ რჩევებს შეიმუშავებს. ამის საფუძველზე კი ხდება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების სისტემატური გადახედვა და დახვეწა.

ყურადღება

აი, რა კავშირშია სურსათის უვნებლობა საქართველოს ევროინტეგრაციასთან? ამიხსენით!

საქართველოში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე სისტემის შექმნა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც **ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დადების პერსპექტივა გაჩნდა**.

2008 წელს ევროკავშირთან ასოცირების თაობაზე საქართველოს მზაობის შესაფასებლად ჩვენს ქვეყანაში **ევროკავშირის სპეციალური მისია** ჩამოვიდა. მისიის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, ევროკომისიამ მოლაპარაკებებისათვის ერთ-ერთ წინაპირობად დაასახელა რეფორმების განხორციელება რიგ სფეროებში, მათ შორის იყო სანიტარია და ფიტოსანიტარია. (სურსათის უვნებლობა).

საქართველოს ხელისუფლებამ შემდეგი ნაბიჯები გადადგა:

- **2010** წელს **დამტკიცდა** „ყოვლისმომცველი სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა სურსათის უვნებლობის სფეროში“, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირების ისეთივე მოდელის შექმნას, როგორც ევროკავშირშია;

- **2012** წელს **მიღებულ იქნა** „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, რომელიც ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავდა.

2014 წელს ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებას მოეწერა ხელი, რითაც საქართველომ ვალდებულება აიღო, მათ შორის, სურსათის უვნებლობის სფეროში საკუთარი კანონმდებლობა და პრაქტიკა ევროკავშირთან დაეახლოებინა.

ასოცირების შეთანხმების საფუძველზე, დამტკიცდა **2015-2027** წლების საკანონმდებლო **დაახლოების გეგმა** სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში.



გეგმა ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის ორას ნორმატიულ აქტთან. ბოლო ინფორმაციით, გეგმა **2028** წლის ბოლომდეა გაგრძელებული.

მიღებული ნორმატიული აქტებიდან და დოკუმენტებიდან:



- ძალაში სრულადაა შესული აქტები/დოკუმენტები, რომლებიც გვაახლოებს ევროკავშირის **92** ნორმატიულ აქტთან (46%).
- ნაწილობრივაა ძალაში შესული აქტები, რომლებიც გვაახლოებს ევროკავშირის **8** ნორმატიულ აქტთან (სრულად და ნაწილობრივ ძალაში შესული აქტები ერთად - 50%).
- მიღებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული აქტები, რომლებიც გვაახლოებს ევროკავშირის **34** ნორმატიულ აქტთან.
- უკვე მიღებული აქტების რიგი ძალაში სრულად შედის, წლების შემდეგ, ყველაზე გვიან **2035** წელს.

კანონმდებლობის ეტაპობრივი მიღება და ძალაში შესვლა იმიტომ ხდება, რომ მეწარმეები და სახელმწიფო უწყებები ახალი მოთხოვნების შესასრულებლად სათანადოდ მოემზადონ.

როგორც ვხვდები, ევროკავშირთან დაახლოება მეტად რთული, გრძელვადიანი პროცესია და სურსათის უვნებლობის სფეროში საქართველო რეფორმის შუა გზაზეა.

2013-2023

✔ **მოხდა** სურსათის უვნებლობის სფეროში მთავარი მაკონტროლებელი უწყების - **სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს,) ინსტიტუციური გაძლიერება:**

გაიზარდა თანამშრომელთა რაოდენობა, აშენდა და კეთილმოეწყო ოფისები, **სეს** აღიჭურვა ახალი სატრანსპორტო საშუალებებითა და ტექნიკით, გაძლიერდა **უწყების** რეგიონული ქსელი: სეს-ს ყველა რეგიონულ ცენტრში აქვს ოფისი, ხოლო ყველა მუნიციპალურ ცენტრში ჰყავს, სულ მცირე, ერთი თანამშრომელი.

✔ **დაინერგა** საქონლის (პირუტყვის) იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, ანუ აღრიცხვის სისტემა, რაც აუცილებელია მეცხოველეობაში დაავადებებისა და ცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობის საფრთხეების ზედამხედველობისა და თავიდან აცილებისათვის.

✔ ასევე, **დაინერგა** საქონლის სასაკლაოებში დაკვლის პრაქტიკა, სადაც ვეტერინარული ზედამხედველობა მიმდინარეობს.

✔ მნიშვნელოვნად **გაიზარდა** სეს-ის მიერ განხორციელებული კონტროლის მასშტაბები. მაგალითად, **2012** წელს, სეს-მა განახორციელა საწარმოების **504** ინსპექტირება, ხოლო **2023** წელს - **18 677** ინსპექტირება.

✔ **განხორციელდა** ფერმერების, გლეხების მხარდაჭერის პროგრამები - საქონლის მასობრივი ვაქცინაციები სხვადასხვა საშიში დაავადების წინააღმდეგ და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მცენარეთა გავრცელებულ მავნებლებთან ბრძოლა. ეს მოხდა ფერმერებისა და გლეხებისთვის სრულიად უსასყიდლოდ.

ევროპელი დონორების დახმარება სურსათის უვნებლობის სფეროში

ევროკავშირმა, მისმა წევრმა სახელმწიფოებმა და იქ მომუშავე ორგანიზაციებმა დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში სურსათის უვნებლობის რეგულირების სისტემის შექმნა-განვითარებაში.

ევროპელი დონორების დახმარება მიმართულია:



1.

სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გასაძლიერებლად:

- ინფრასტრუქტურის შექმნა-გაუმჯობესება: ოფისები, ტრანსპორტი, ტექნიკა, აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა;
- სწავლება, ევროპული გამოცდილების გაზიარება.

2.

მეწარმეების მხარდასაჭერად, რათა მათ სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვა შეძლონ:

- საწარმოო პირობების გაუმჯობესება;
- სწავლება.

3.

საზოგადოებრივი (არასამთავრობო) ორგანიზაციების პროექტების მხარდასაჭერად (რაზეც დონორების დახმარების ყველაზე მცირე წილი მოდის):

- სახელმწიფო უწყებებისა და მეწარმეების საქმიანობის მონიტორინგი;
- გამოვლენილი დარღვევებისა და სისტემური ხარვეზების გამოსწორების ადვოკატირება;
- სამოქალაქო განათლება.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (როგორც ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის) მიღწევები სურსათის უვნებლობის მიმართულებით

- ცენტრმა საგულისხმო როლი შეასრულა სურსათის უვნებლობის მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობისა და სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესებაში. ჩვენი აქტიური ადვოკატირების შედეგად:

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

- სურსათის უვნებლობის კონტროლის მონაცემების საჯაროობას მტკიცე საკანონმდებლო საფუძველი შეექმნა, რის შემდეგაც, ჩვენი ძალისხმევით, სეს ყოველკვარტალურად აქვეყნებს მის მიერ ჩატარებული შემოწმებების დაწვრილებით შედეგებს, შემოწმებული ობიექტებისა და პროდუქტების დასახელებით;

- სეს-ს სურსათის უვნებლობის მოთხოვნების სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით მომხმარებელთა მიმართვებზე ოპერატიული რეაგირება დაევალა, რის შემდეგაც სააგენტოს ყოველწლიურად ასობით მომხმარებელი მიმართავს;

- საქართველოში აიკრძალა რძის პროდუქტების სახელწოდებით ისეთი პროდუქტების გაყიდვა, რომლებიც მცენარეულ ცხიმებს შეიცავს.



- ორგანიზაციამ სასურსათო ბაზარზე მომხმარებლის უფლებების დარღვევის ასობით ფაქტი გამოააშკარავა და მათ გამოსწორებას შეუწყო ხელი.
- ცენტრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომხმარებლის უფლებების საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდაში:

- მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის ფეისბუქის გვერდს https://www.facebook.com/momxmarebeli.ge 30 ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავს;
- მედია რეგულარულად აშუქებს მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის მუშაობას.

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესი სურსათის უვნებლობის სფეროში დიდი ხანია მიმდინარეობს. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. მთავარია ქვეყანამ სწორი მიმართულებით სვლა განაგრძოს და ის აუცილებლად მიაღწევს ევროპული განვითარების დონეს, რაც გულისხმობს:

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიან სისტემას!

უფრო პასუხისმგებლობიან, ძლიერ და კონკურენტუნარიან მეწარმეს!

უფრო უვნებელ და ჯანსაღ სურსათს!

უკეთეს ჯანმრთელობას ჩვენთვის და მომავალი თაობებისათვის!

ბუკლეტი მომზადდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ (CAPCA) და „საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირი მიერ. CAPCA-ს თანადამფინანსებელია ორგანიზაცია „ჰური მსოფლიოს“ (გერმანია) და მას ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი) და ორი თანაპარტნიორი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა
საქართველო, თბილისი, იოველ ჯებაშვილის I გასასვლელი #5, 0177
ტელ.: (32) 239-90-19, (32) 239-90-18
ელფოსტა: office@csrdg.ge
ვებსაიტი: www.csrdg.ge; www.momxmarebeli.ge
ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/momxmarebeli.ge